საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ისტორიული საბუთი

ისტორიული საბუთი, წერილობითი ისტორიული წყარო. ი. ს-ები ქმნის დოკუმენტური წყაროების განსაზღვრულ ტიპს და სოც. ფუნქციის (დანიშნულების) მიხედვით იყოფა ორ ძირითად სახეობად – იურიდიულ აქტებად და კერძო (არაიურიდიული) ხასიათის საბუთებად, რ-ებიც შედგენილია თანამედროვის მიერ და ახასიათებს ხანგრძლივი ტრადიციით ჩამოყალიბებული სტრუქტურა, გაფორმების წესები და სპეციფ. ენობრივი სისტემა.

იურიდიული აქტი ეწოდება ისეთ საბუთს, რ-იც სუბიექტებს შორის ურთიერთობის ამა თუ იმ მხარეს სამართლებრივად აწესრიგებს. იურიდ. აქტი სოც. ფუნქციის დაკარგვის შემდეგ იქცევა ი. ს-ად.

იურიდ. აქტები, სამართლებრივი რეგულაციის საგნის მიხედვით, რამდენიმე ქვესახეობად იყოფა. ესენია: წყალობის, შეწირულობის, შეუვალობის, სასისხლო (ვერგელდის), ანდერძის, ნასყიდობის, გაცვლილობის, გირავნობის, ვალის, გაყრილობის, შეყრილობის, პირობისა და ა. შ. საბუთები, აგრეთვე სულთა მოსახსენებლები, აღაპები და სხვ., რ-ებსაც სწავლობს სპეციალური ისტ. დისციპლინა – დიპლომატიკა.

შუა საუკუნეების საქართველოში იურიდ. აქტის აღსანიშნავად მრავალი ქართული და უცხოური წარმომავლობის ტერმინი გამოიყენებოდა. მ. შ., უძველესია „ჴელი" (ქვაზე ამოკვეთილი) და „დაწერილი" (ეტრატზე ან ქაღალდზე შესრულებული). ეს უკანასკნელი გაბატონებულია X ს. 70-იან წლებამდე. ამ დროიდან შემოდის სიგელი" (ბერძნული), მეფის მიერ გაცემული აქტის აღსანიშნავად, მაგრამ XI ს. ბოლომდე „დაწერილი" ეწოდება ყველა აქტს, განურჩევლად გამცემის ვინაობისა. XII–XIV სს-ში „სიგელი" მხოლოდ მეფის

მიერ გაცემულ აქტს მიემართება, დაწერილი" – ყველა დანარჩენს. XV ს-იდან სიგელის" მნიშვნელობა გაფართოვდა და ყოველგვარი იურიდ. აქტის აღსანიშნავად გამოიყენებოდა, „დაწერილი" კი იმავე საუკუნის ბოლოდან აღარ იხმარებოდა. XV ს-იდან მკვიდრდება ტერმინი „წიგნი", რ-იც „სიგელთან" ერთად იურიდ. აქტების ზოგად სახელწოდებად იქცა. ყველაზე გავრცელებული „დაწერილის", „სიგელისა" და „წიგნის" გვერდით იურიდ. აქტების აღსანიშნავად სხვადასხვა დროს შემოვიდა: „ბრძანება" (XI სიდან), „ჩაქი", „ბარათი" (თურქ.), „ანდერძი" (XII ს-იდან), „ნიშანი" (სპარს.), „პიტაკი" (ბერძნ.), „პროარტაგი" (სომხ.), „იადგარი" (სპარს., XIV ს-იდან), „გუჯარი" (არაბ.), „ქარტა" (-ბერძნ., XVI ს-იდან), „რაყამი" (არაბ.), „თამასუქი" (არაბ.), „განაჩენი", „განწესება" (XVI ს-იდან), „საბუთი" (არაბ., XVIII ს-იდან) და სხვ.

არაიურიდიული კერძო ხასიათის საბუთებს განეკუთვნება ანგარიშები, კერძო ნუსხები, დღიურები, ეპისტოლეები, სტატისტიკური მასალები და სხვ.

შემორჩენილი ქართული ი. ს-ის საერთო რაოდენობა 65 000 აჭარბებს. მათი ძირითადი ნაწილი დაცულია კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა (35 000ზე მეტი) და საქართველოს ცენტრ. საისტორიო არქივში (30 000-მდე), შედარებით მცირე რაოდენობით – რეგიონულ მუზეუმებში, აგრეთვე, საზღვარგარეთის (მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის და სხვ.) სიძველეთსაცავებში.

ლიტ.: ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ნ., მიწათმფლობელობის ფორმებისათვის ფეოდალურ საქართველოში („ჴელი", "დაწერილი"), წგ.: საქართველოს ისტორიის საკითხები, წგ. 3, თბ., 1966; ს უ რ გ უ ლ ა ძ ე მ. , ქართული საისტორიო აქტები, თბ., 2005; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, *თხზ.* 12 ტომად, ტ. 9, თბ., 1996.

გ. არახამია